

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**კოალიცია „მედიის
ადვოკატებისათვის“ მიესალმება
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ინიციატივას სასამართლოში ვიდეო და
ფოტო გადაღების უფლების დაშვების
თაობაზე**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საკანონმდებლო ინიციატივა სასამართლოში ფოტო, ვიდეო, კინო გადაღებისა და აუდიო ჩანწერის დაშვების თაობაზე ასახავს იმ სულისკვეთებას, რომელსაც დიდი ხანია კოალიციის წევრი ორგანიზაციები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხად მივიჩნევთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლოს გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ინიციატივით მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით იუსტიციის საბჭოსთან და საქართველოს წინა მონვევის პარლამენტის წევრებთან, თუმცა უშედეგოდ.

ვთვლით, რომ სასამართლოში სხდომების გადაღების დაშვება არის წინ გადადგმული ნაბიჯი, როგორც გამჭვირვალობის სტანდარტის, ასევე, სასამართლოსადმი ნდობის ამაღლების თვალსაზრისით.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს პარლამენტი გაიზიარებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ კანონპროექტს და მხარს დაუჭერს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან რეფორმას, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის მიერ ინფორმაციის მიღების უფლებას.